



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (9.688)

27 ივნისი - 4 ივლისი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რეკორდული მოსავალი - ჰექტარზე 7 ტონას აღემატება



დედოფლისწყაროში ალოობა დაიწყო, მინდვრებში თავდაპირველად ქერის ყანები გაიჭრა. ფერმერები რეკორდულ მოსავალზე საუბრობენ. შირაქის და ტარიბანის ველებზე ქერის საშუალო მოსავლიანობა 1 ჰექტარზე 4-დან 7 ტონამდე მერყეობს. ფერმერების ნაწილი ამბობს, რომ 1 ჰექტარზე 7 ტონა და 400 კილოგრამი ქერი მოიძევა.

ყოფილი პარლამენტარი, პარლამენტის აგრარული კომიტეტის ექსპერტ-კონსულტირებელი ბაჩუკი გონაშვილი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობაში მრავალწლიანი მუშაობის მიუხედავად ქერის ასეთი მოსავალი მას არასოდეს მოუღია. ფერმერი წლებიდან მოსავლით კმაყოფილია, თუმცა ყურადღებას ფასის ვარდნასა და რეალიზაციის პრობლემებზე ამახვილებს. ბაჩუკი გონაშვილის თქმით, კილოგრამი ქერის ფასი 60 თეთრი იყო, ახლა კი 30 თეთრზე დაეცა, მყიდველი კი მაინც არ ჩანს.

ბაჩუკი გონაშვილი (ფერმერი): „ამდენად ხევრიანი მოსავალი არ ყოფილა, როგორც წელს მივიღეთ. მაგალითად ღმერთს, ახალი ხელისუფლების წყალობით ბევრი პრობლემა მოგვარდა. ფერმერებისთვის გადაიჭრა კრედიტების პრობლემა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.“

წლებიდან ქარგი მოსავალი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ამინდი, ხელმისაწვდომი

სესხები. ფერმერების უმრავლესობამ აგროვადების სრული დაცვით დაამუშავა ნაკვეთებმა. მართალია ტექნიკა ზომამდე უფრო ძვირია, მაგრამ „მექანიზატორის“ ტექნიკა დიდი როლს თამაშობს და ძალიან დაეხმარა მოსახლეობას. რაც მთავარია თანამედროვე ტექნოლოგიების ტექნიკა და მედეგზეც აისახება. მიმართა, რომ დისტრიბუციის საკითხიც კარგად აეწყო. სათესლე მასალა უკვე კარგად შემოდის. მაგალითისთვის, წელს საკმაოდ ხარისხიანი თესლი ბევრი შემოვიდა. შარშან ჩვენთან მოსავალი რომ არ იყო, ძირითადად ბევრმა რუსული სათესლე მასალა გამოიყენა. ამის გამო მოსავალი კარგი მოვიდა. მაგრამ ამჟამად მწვევედ დადგა მოსავლის რეალიზაციის პრობლემა. ქერის ფასი 60 თეთრიდან მომენტალურად, როგორც კი მოსავლის აღება დაიწყო, 30 თეთრამდე დაეცა. ხალხს კრედიტები აქვს, სასაწყობე მეურნეობები არ აქვთ და იძულებულნი არიან, დროულად გაყიდონ, რომ შენახვის პირობები არ აქვთ. ამით კი ისევ ჩვენი ეკონომიკა ზარალდება. დარწმუნებული ვარ, ხორბალზეც იგივე ვითარება გვექნება. პარლამენტში მუშაობის დროსაც და ყოველთვის ამ აზრს ვანვითარებდი და ყოველთვის ვამბობდი, რომ სახელმწიფო ვალდებულია, რაღაც რაოდენობის მარცვლეული ადგილობრივი ფერმერებისგან

შეიძინოს. სხვა შემთხვევაში ეს პროცესი ცივილიზებულ კალაპოტში არ ჩადგება. სახელმწიფო მარაგების შექმნის მიზნით, ჯარის კვების, პატიმრების კვების მიზნით მინიმალური ოდენობით მაინც რომ ახდენდეს ყოველწლიურად შესყიდვას, ეს სურათი არ გვექნებოდა. ამ მიდგომით ვერც ეკონომიკას გავაძლიერებთ და ვერც ლარის კურსს გავამყარებთ. ახლა უკვე დროა, ეს ნაბიჯები გადაიდგას. კლიენტები რეალურად არ არსებობს, რომ ვთქვა მოდიან, კითხულობენ, ან ყიდვა უნდათ, ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა. არც კლიენტია და ფასიც ამის გამო დავარდა. ვფიქრობ, რომ ეს ხელოვნურადაა შექმნილი. მყიდველი სულ რამდენიმეა, ძირითადად დიდი ფაბრიკები და მეფრინველების ფაბრიკები... აქამდე ისინი ყიდულობდნენ ხოლმე და, ალბათ, წელსაც შეიძენენ.

უკვე ერთი თვეა, გვალვაა, ძალიან დიდი გვალვა დაიწყო. ეს კი აუცილებლად თავის შედეგს დატოვებს ხორბლის ყანებზე. ხორბლის მოსავალი შემცირდება, წონაშიც დაიკლებს, რადგან ქერის მარცვალმა მეცხება მოასწრო, ხორბლის თავთავის შევსების დროს კი გვალვა იყო. იმოქმედებს მზესუმზირის მოსავალზეც. სწორად წვიმს, მაგრამ არ წვიმს იმ ადგილებში, სადაც საჭიროა. ლოკალური წვიმებია პატარა ტერიტორიებზე, მაგრამ მაგალითად შირაქსა და ტარიბა-

ნის ტერიტორიაზე დაახლოებით ერთი თვეა წვიმა არ ყოფილა“.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი გია ბენაშვილი ამბობს, რომ გასულ წელთან შედარებით წელს დედოფლისწყაროში სახნავ-სათესი ფართობების ნახევარია დამუშავებული. მიზეზი კი 2014 წლის გვალვაა, რომელმაც ფერმერები მნიშვნელოვნად დააზარალა, ნაკვეთების უმრავლესობაში კი კომბინიცი არ შესულა. მოუძველად მიტოვებული ნათესების ოდენობა გასულ წელს 14 000 ჰექტარს აღემატებოდა. მისი თქმით, ფერმერების უმრავლესობას მინის დამუშავების შესაძლებლობა აღარ ჰქონდა, ნაწილი კი იმედგაცრუებული იყო.

ბიკ ბენაშვილი (სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს საკონსულტაციო სამსახური): „კარგი მდგომარეობა გვაქვს, ბუნებამ მოსავალს ხელი შეუწყო, ხშირი იყო ნალექი და განსაკუთრებით ქერის კარგი მოსავალი მივიღეთ. ზოგიერთმა ფერმერმა 7 ტონაზე მეტი მოიპოვა. ქერი უფრო მალე შემოიღო და მასზე გვალვამ უარყოფითი გავლენის მოხდენა ვერ მოასწრო. გასულ წელს კატასტროფულად ცუდი ვითარება იყო და შედარებაც არ შეიძლება წლებიდან მდგომარეობასთან. ყველაზე ცუდი შედეგი წელს 3,5 ტონა ქერი იყო, ასეთი მაჩვენებელი კი ხშირად სანატრულია ხოლმე. მითუმეტეს, რომ შარშან 300 კგ მოიპოვეს ჰექტარზე. ფასები მინიმალური და სტიქიურია. რამდენადაც ვიცო, სამინისტროში მუშაობა მიღის, რომ რეალიზაციის პროცესში სახელმწიფო ჩართოს. არსებობს იდეა, სუბსიდირების შესახებ, თუმცა ჯერ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. ჰექტარი მინის დამუშავება დაახლოებით 1 400 ლარი ჯდება. რეალიზების პრობლემა თითქმის ყოველთვის არის ხოლმე. მე და ვინტერესდი და ეს საკითხი ღრმად შევისწავლე, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო შემოტანილ ხორბალში გაცილებით ძვირს იხდის, ვიდრე აქ წარმოებული ხორბალი ჯდება.“

ბიკ ბენაშვილი („მექანიზატორის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსი): „27 კომბინიცი გვყავს, დამატებით ჩამოვიდა 2 და კიდევ 4-ს ველოდებით, რათა მოსახლეობას შეფერების გარეშე მოვემსახუროთ. კარგი მოსავალია, 1 700 ჰექტარი უკვე აღებული გვაქვს, მალე ხორბალსაც დავიწყებთ. მომართ-

ვიანობა ძალიან გაიზარდა, არცერთი კომბინიცი უქმად არ დგას. 1 ჰა-ს მომკა 85 ლარი ჯდება თავისი სანვავით და მომსახურებით, ხოლო თუ ფართობი იზრდება შემდეგ გარკვეული შეღავათები მოქმედებს. ასეთი კარგი მოსავალი ათეულობით წელია, არ ყოფილა“.

ბიკ ბენაშვილი (ფერმერი): „საშუალო მოსავალი 4 ტონა ქერი მივიღეთ. ასეთი მოსავალი არ მახსოვს. საკმაოდ ნალექები იყო და გაგვიმართლა. ქერის მაქსიმალური მოსავალი 1 ჰა-ზე 6,2 ტონა იყო. ამბობენ 7 ტონასაც, მაგრამ ჩემს ნაკვეთებში ასეთი სურათია. კმაყოფილი ვარ მოსავლით, მითუმეტეს, რომ ამ ნაკვეთებში რაიმე განსაკუთრებული დამუშავება არ ჩავატარებია, არც სასუქი შეგვიტანია“.

ნიკოლოზ ჯანაშვილი (დედოფლისწყაროს გამგებელი): „ქიზიში ალოობა ყოველთვის ხვართან და ბარაქსთან ასოცირდება, თუმცა ლეთის მადლი წელს გამოჩნულად კარგი წელია. ბოლო ათწლეულის რეკორდული მაჩვენებელია და 7 ტონას მიაღწია. ბევრ ადამიანს ვესაუბრებოდა და 3 ტონაზე ნაკლები მოსავლის იმედი არცერთს არ აქვს, რაც ძალიან გვახარებს. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რადგან შარშანდელი გვალვის შემდეგ ფერმერები ცოტა ამოისუნთქავენ. ფაქტია, რომ სახელმწიფოს მიერ გადადგმულმა სწორმა ნაბიჯებმა თავისი შედეგი გამოიღო. ახალი ტექნიკა, აგროვადების დაცვა, ნალექი... თესლიც სწორად შეირჩა, გასული წლისგან განსხვავებით წელს ნათესები ვერც კალიბა დააზიანა, არც ბუფრი გაჩნდა“.

დედოფლისწყაროში 5 ჰექტარზე ზევით მინის ნაკვეთის მფლობელი 400-მდე ფერმერია. ოფიციალური ინფორმაციით, დედოფლისწყარო სულ სახნავ-სათესი ნაკვეთების 47 663 ჰექტარს ითვისებს. აქედან წელს დათესილი იყო 11 929 ჰექტარი ხორბალი, ხოლო 2 700 ჰა-ზე ქერი. საიდანაც საშუალოდ 40 000 ტონა ხორბალს, ხოლო 9 500 ტონა ქერს ელოდებიან.

მოლიანად 47 663 ჰა სახნავ-სათესი ნაკვეთიდან 19 000 ჰექტარია ათვისებული, საიდანაც ხორბლისა და ქერის გარდა საგაზაფხულო ნათესებზეც მოდის. მზესუმზირა დათესილია 3 516 ჰა ნაკვეთზე, სიმინდი - 374 ჰა, ხოლო შერია - 235 ჰა-ზე.

ილია მარტყოფლიშვილი

სორბლის 32 ჯიშის გამოცდა დედოფლისწყაროში

გვ.3

დედოფლისწყაროს პირველი პირები პოლონეთი გაემგზავრნენ

გვ.2

უპირიბეა ბრძოლა ნაადრავი მორჩინებას!


გვ.4

მითიური საფრთხიდან - რეალობამდე

გვ.3

შეურიბებელი პროლა ნაადრევ ქორწინებას!

25 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაცია "ვეფინი"-ს და "ფიროსმანი"-ს წარმომადგენლები: ლუიზა ხარიტონიშვილი, თათია ფურცელაძე, ნელი გობეჯიშვილი და ნათელა თამაზაშვილი მორიგი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში



ბში ეწვევნენ სოფელ ჭოეთს. მათ დისკუსია აწარმოეს არასრულწლოვანთა მშობლებთან თემაზე: "ნაადრევი ქორწინებები ეთნიკურ უმცირესობებში". მათ მშობლებთან საუბრისას ყურადღება გამახვილეს ნაადრევი ქორწინებების უარყოფით მხარეებზე. არასრულწლოვანთა ქორწინებისას გოგონათა ჯანმრთელობის მხრივ გამოწვეულ საფრთხეებზე მშობლებს უახლესი ინფორმაციები

მიანოდა პროექტის რეპროდუქტოლოგმა ნათელა თამაზაშვილმა.

"ვეფინის" ხელმძღვანელმა ლაურა ხარიტონიშვილმა მშობლებს დაწვრილებით განუმარტა, თუ როგორ უშლის ხელს ნაადრევი ქორწინება თუ სქესობრივი კავშირები მათი შვილების კარიერულ წინსვლას და როგორ სწევს უკან მათ მომავალ კეთილდღეობას. არასრულწლოვანთა მშობლებთან დისკუსიაში "ფიროსმანის" მენეჯერმა ნელი გობეჯიშვილმა კიდევ ერთხელ დაგმო ნაადრევი ქორწინების არამხოლოდ

იძულებითი, არამედ ნებაყოფლობითი ფაქტები, როდესაც ირღვევა მზარდი თაობის ფუნდამენტური უფლებები, მათი ჯანმრთელობა, მათი კეთილსამიერლო მომავალი.

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციამ "ფიროსმანმა" და "ვეფინმა", რომელთა დონორია "ქალთა ფონდი საქართველოში", მსგავსი ფორმატის შეხვედრა მაისის თვეში უკვე მოაწყვეს

ხორნაბუჯის ქართულ-რუსულ საჯარო სკოლაში და შეხვედრენ იმ არასრულწლოვანთა ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეებს, რომელთა მშობლებსაც 25 ივნისს შეხვედრენ სოფელ ჭოეთში. ისინი 12 ივნისს ამ პროექტის ფარგლებში სტუმრობდნენ სოფელ საბათლოს, სადაც შეხვედრა აწარმოეს როგორც სკოლის ზედა კლასის მოსწავლეებთან, აგრეთვე პედაგოგებთან და მშობლებთან. მათი შეხვედრები ემსახურება ერთ მიზანს: საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება გენდერული სტერეოტიპების დაძლევაში, არასრულწლოვანთა ქორწინების პრევენციას, გოგონათა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობისათვის მთელს კახეთში.



„მზე ისევ მზიოზს ღვთის ნებით!“

ადამიანის ცხოვრებაში ბავშვობა ყოველთვის ლამაზ მოგონებებთან ასოცირდება, ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე წრფელია და კეთილი, ან იქნებ იმიტომ, რომ ყველაზე შორს რჩება ბავშვობის წლები იმ მანძილიდან, რა მანძილითაც ვართ დამორებული ამ წლებისგან. ამბობენ, რომ ბავშვებს აქვთ დანახვის,

ალაიანი ელზა, ვასილევო ლიზი, გონაშვილი მარიამი, თეთრაული გიორგი, კობახიძე გვანცა, კუპაძე მარიამი, კარატიელი თამარი, მარტყოფლიშვილი დავითი, ნარუსლიშვილი ანელი, პოპოვი ანა, სესიტაშვილი ელენე, სესიტაშვილი ნუცა, შოშიაშვილი მარიამი, ჩოფიკაშვილი ლალი, ხუნაშვილი დავითი, ხაჩატურიანი

ისტორია, ვინ ვართ, რანი ვართ, რომელია ჩვენი სასაუბრო ენა, რომელი მეფის დროს შეიქმნა ქართული დამწერლობა და ა.შ. ლექსებს ამბობენ ნიკოლოზ არაბული, მარიამ გონაშვილი, ირაკლი თითილოკაშვილი და სხვები.

„მით ივსება საყვარელი მთა და ზარი, ხოხობივით ცისარტყელა ზღრუბში ჩნდება, ამ წიგნშია საამო და სანუკვარი საქართველოს სიცოცხლე და უკვდავება!“ - უმღეროდნენ ბავშვები „დედაენას“.

პატარა მოსწავლეებმა ქართული ენის შესახებ ბევრი რამ იცოდნენ, - „ქართული ენა საფრთხეში იყო, სკოლაში მშობლიურ ენაზე საუბარი იკრძალებოდა, სკოლა საკითხავი წიგნის გარეშე წარმოუდგენელია, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, მე მას შევადგენ, სიცოცხლეს ამით შეიყვარებს ყველა ქართველი და მე მას „დედაენას“ ვუნოდებ, -“ყვებიან იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს პატარები.

შემდეგ კი, ჯერ-ჯერით ნარმოსთქვეს შემდეგი სიტყვები: - „უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ მშობლიური ენა!“ - „ქართული ანბანი მეფე ფარნავაზის დროს შეიქმნა!“ - „წმინდა ნინო ჯვარი გადააფარა!“ - „რუსთაველმა გაამდიდრა და სახელი გაუთქვა!“ - „იაკობ გოგებაშვილმა ცოდნის ლამაზი აგვიტოვა!“

გატამამდა პატარა ინსცენირება, ქართველები ფარით და ხმლით მოდიან, წინ შეხვედრათ ერთი კაცი, რომელიც ფარის და ხმლის ნაცვლად დედაენის წიგნს აწვდის ქართველებს და მტერზე დასამარცხებლად წიგნს მიუთითებს. ქართველ ვაჟაკებს მოეწონებთ საჩუქარი, თუმცა, ფარის და ხმლის ქონას მაინც საჭიროდ თვლიან, ამჯერად ფარ-ხმალი უკვე „დედაენის“ დასაცავად ესაჭიროებათ.

სცენაზე ჩნდება ცისფერ სამოსში გამოწყობილი პატარა გოგონა, თავზე მასაც ცისფერი ჩიხტაკობი ადგას და ძალიან ლამაზი მიხვრა-მოხვრით „ჯეირანს“ ცეკვავს. შესრულდა ცეკვა „ქართული“, „ხევსურული“, „ხორუმი“. ბავშვები სი-

მღერებს და ლექსებს უძღვნიან მასწავლებელს. შემდეგ კი, ხმოვნებისა და თანხმოვნების გარჩევას იწყებენ. ხუთი ხმოვანი პედაგოგს ფერადი ქაღალდებით დიდი ასოებით გამოუჭრია. ხუთი ხმოვანი ხელში ბავშვები წინ გამოდიან და თითოეულზე აფორიზმებს და ლექსებს ამბობენ.

„ანი მეფეა ასოთა აზრილია და არაჯვი, ანის გარეშე ვერ შექმნეს ვერც ზღაპარი და ანაკი.“

„ეწი ასოა ელვარე და ეწით აუწერელი ანბანის ერთი ფესვია და წაწარა დაუღველი!“

ო-„ორი კურდღლის მადე ვარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო!“ „ოქრო პატარაა, მაგრამ დიდი ფასი აქვსო!“ მოდით დავემარცვლოთ ანბანი, -რა-მდენი მარცვალია ან-ბან-ში? სამი მარცვალი, -პასუხობენ პატარები. - სამი კენტია თუ ლუნი?- კენტი, - არის პასუხი.

პირველი კლასისთვის საფუძველი მომზადებულია და ჩვენი აღსაზრდელებიც მზად არიან სკოლაში წასასვლელად. დიდი ხალისი შეიტანა ღონისძიებაში მასწავლებლებზე წარმოთქმულმა ლექსებმა. პატარებმა პედაგოგის მიერ სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი და დანერგილი ლექსები მიუძღვნეს ბალის დირექტორს ქალბატონ მანანას, მეთოდისტს ნათელა თამაზაშვილს, მუსიკოსს აზა მასწავლებელს, ინგლისურის მასწავლებელს მარიამს, მზარეულს ნინო ონელს, მანანა ექიმს, ნინიკო ექთანს, ფსიქოლოგს თამარს, და თავიანთ მოამბაგებს მარის, ელზას და მერის.



ფიქრის და შერცხების საკუთარი მანერა, ამიტომ, ლამაზ შეგრძნებებზე დაფუძნებული ბავშვობა, ბედნიერი მომავლის განმსაზღვრელია. რაც უფრო ბედნიერ და ლამაზ ბავშვობას ვაჩუქებთ პატარებს, სწორ აღზრდას მივცემთ საფუძვლად, მით ლაღები და განვითარებული ჩამოყალიბდებიან ისინი.

სასიხარულოა, რომ დღევანდელი ბავშვებისთვის საბავშვო ბაღებში არსებულ მდგომარეობას ისეთი სურნელი დაჰკრავს, როგორც წლების წინანდელი ბავშვებისთვის სანატრელი გახლდათ. აქედან გამომდინარე, დღევანდელი ბავშვობა მომავალ თაობათა ბედნიერების და უკეთესის მომტანის გარანტია.

ამჯერად, თავის აღსაზრდელებს სკოლისკენ აცილებს პედაგოგი მარინა მარტაშვილი, თანაშემწე ელზა ბენაშვილი, ძიძა მერი მოსეშვილი. ამ, დღეს საბავშვო ბაღს დაემშვიდობნენ: არაბული ნიკოლოზი, ალადაშვილი მიხეილი, ალუღიშვილი გიორგი, ავალიანი არინა,

ვალენტინა, ქავთარაძე გვანცა, ქაშიაშვილი ნიკოლოზი. ბავშვები ლამაზ ფორმაში არიან გამონყობილი, მათ თეთრი ატლასის ზედატანი ემოსათ, ხოლო ქვედა ბოლოები და შარვლები შავი ნაჭრებისგან იყო შექერილი. გულზე ყველას თეთრზე შავი ყვავილები ეკეთა. გოგონები თავდაპირველად თავზე ცისფერი ჩიხტიკობით იყვნენ დამშვენებულნი. ამგვარ ჩაცმულობას თავისი დანიშნულება ჰქონდა, გოგონებმა ქართულ ცეკვებში ერთ-ერთი გამორჩეული და ქალებისთვის ლამაზი ცეკვა „ნარნარი“ შეასრულეს.

სცენის შუაში მდგარ პატარა მაგიდასთან აღსაზრდელი, პირობითად პედაგოგი ზის და ბავშვების სიას კითხულობს: მიხეილ ალადაშვილი, დავით მარტყოფლიშვილი, ელენე სესიტაშვილი, მარიამ გონაშვილი, გვანცა ქავთარაძე, - კითხულობს პედაგოგი და წინ ჩამოიჭდარ ბავშვებს სიამაყით ათვალიერებს. მისასალმებელია, რომ ბავშვებმა უკვე იციან ჩვენი ქვეყნის მოკლე

ლალი მისერიშვილი

სეტყვაც „ჩამოაგდო“ და გლეხიც კაყოფილი დაბრჩეს...

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა დღეს სეტყვისგან დაცვის სრულ გარანტიას ვერ იძლევა, მაგრამ მალე ის შეიძლება ფერმერების „სალოცავად“ იქცეს

ქართული სავარგულები და სეტყვას ვერც წელს გადაურჩა, თუმცა, თითქმის 25-წლიანი შეჩერების შემდეგ სწორედ წელს განახლდა ღრუბლების დამუშავება სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო სისტემით, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

მაისის ბოლოდან მოყოლებული, აღმოსავლეთ საქართველოში ამოქმედდა სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას“ მიერ შექმნილი სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა, რომლის გამოყენებით დაიშალა არაერთი სეტყვის (მათ შორის - 30 მმ დიამეტრის სეტყვის მარცვლების შემცველი) ღრუბელი და ზურებიც გადაჩრა.

თუმცა, ზოგიერთი სოფელი მაინც დაისეტყვა, განსაკუთრებით - შიდა ქართლში, რამაც მოსახლეობაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გაისმა ისეთი აბსურდული მოსაზრებაც, თითქოს ამ ახალმა სისტემამ სეტყვის ღრუბლები კახეთიდან გორისკენ „გადმოყარა“ და შიდა ქართლის სოფლები ამიტომ დაისეტყვა.

„ვირის პალიტრამ“ სცადა, გაერკვია სიმართლე, რისთვისაც რამდენიმე საათი სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრში, მონიტორების წინ გავატარეთ და გავეცანით სეტყვის შემცველი ღრუბლების აღმოჩენის, კლასიფიკაციისა და დაშლის მეთოდებს. ვფიქრობთ, ამან პასუხი უნდა გასცეს მოსახლეობაში გაჩენილ კითხვებს:

პირველი - სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ამოქმედების შემდეგ კახეთიდან ქართლისკენ „დევნიან“ სეტყვის ღრუბლებსა, რომლებიც იქ „იცლებს“...

ასეთი რამ ტექნიკურად შეუძლებელია, რადგან სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ამოქმედების პრინციპი ეფუძნება არა ღრუბლების სხვა მხარეს განდევნას, არამედ მათ ადგილზე „დაცლას“, ოღონდ წვიმის და არა - სეტყვის სახით. ამისთვის სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრი ღრუბლების აღმოსაჩენად კახეთში, კერძოდ, სოფელ ნუკრიანთან, ჭოტორის მთაზე დამონტაჟებული მეტეოროლოგიური რადიოლოკატორიდან საპარო სივრცეს მაქსიმუმ 500 კმ-ის რადიუსში აკონტროლებს. რადიოლოკატორი მონიტორინგის ოპტიმალური რადიუსი 200-300 კმ-ია, ხოლო 100 კმ-იანი რადიუსი ითვლება ღრუბლებზე ზემოქმედების დაწყების ზონად. რადიოლოკატორს ღრუბლების აღმოჩენა და მათი კლასიფიკაცია



16-17 კმ სიმაღლეზე შეუძლია.

რადიოლოკატორის ეს ტექნიკურ-ტექნიკური მონაცემები საკმარისია კახეთის რეგიონის მთელ ტერიტორიაზე სეტყვის შემცველი ღრუბლების აღმოსაჩენად, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი მოდის ფრონტალური ღრუბელი, რომლის შემწევა რადიოლოკატორს შორი მანძილიდანაც შეუძლია. არსებობს მეორე სახეობის შიდაქართული ღრუბელი, რომელიც სწრაფად, 12-15 ნთ-ში ყალიბდება სეტყვის მარცვლებში. სწორედ ასეთი ღრუბლის დროული დაშლაა ძნელი, რადგან რადიოლოკატორი განახლებულ ინფორმაციას მხოლოდ ყოველ 3 წუთში იძლევა; მიღებული ინფორმაციის ანალიზს 5 წუთი მაინც სჭირდება და სეტყვის შემცველ ღრუბელზე რაკეტებით ზემოქმედებისთვის ცოტა დრო რჩება.

რადიოლოკატორის გარდა, კახეთის რეგიონში ავტონომიური სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარების განთავსება დაწყებული. სულ უნდა განთავსდეს 83 დანადგარი. თითოეულში მოთავსებულია 26 ცალი უმართავი რაკეტა. მართვის ცენტრიდან სიგნალის მიღების შემდეგ რაკეტებს უშვებენ სეტყვის შემცველი ღრუბლის მიმართულებით.

რაკეტის ფრენის პარამეტრები დაახლოებით 6,5-7 კმ-ია სიშორეზე და ამდენივე - სიმაღლეში. თითოეულ რაკეტაში განთავსებულია 400 გ ვერცხლის იოდინი, რომლის გამოფრქვევა სტარტიდან მე-7 წმ-ზე იწყება. სტარტიდან 41-ე წმ-ზე კი რაკეტა თვითლიკვიდაციას განიცდის.

სეტყვის ღრუბელში მოხვედრილი რაკეტებიდან გაფანტული ვერცხლის იოდინის ნაწილაკები თავის გარშემო ახდენს წყლის კონცენტრირებას, რითაც ხელს უშლის სეტყვის მსხვილი მარცვლების ჩამოყალიბებას, შედეგად ღრუბელი „იცლება“ წვიმის სახით, ან ხოშკაკლად იმ შემთხვევაში, თუკი ღრუბელში დიდი, 20-30 მმ დიამეტრის სეტყვის მარცვლები ყალიბდება.

სწორედ ამიტომ ტექნიკურად შეუძლებელია, რომ კახეთში რაკეტამოხვედრილი ღრუბელი გორთან სეტყვად „დაიცალოს“.

მეორე კითხვა: რამდენად საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის რაკეტებიდან გაბნეული ქიმიური შენაერთი?

ასეთი საშიშროება მართლაც არსებობდა საბჭოთა პერიოდში, როდესაც „ალაზნის“ ტიპის პირველი თაობის რაკეტებში რეაგენტის სახით ტყვიის იოდინს იყენებდნენ, რომელიც შემდეგ წვიმასთან ერთად ნიადაგში ხვდებოდა, ვაზი შეინოვდა და ქართულ

ლენინობშიც მომატებული იყო ტყვიის შემცველობა.

გარდა ამისა, ხშირად გასროლილი „ალაზნის“ დიდი ფრაგმენტები ძირს ეცემოდა და აზიანებდა როგორც ზურებს, ისე ზოგჯერ სახლებსაც კი.

„დელტას“ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა იყენებს თანამედროვე ტიპის უმართავ რაკეტებს, რომლებშიც ტყვიის იოდინის ნაცვლად, უფრო ეკოლოგიური ვერცხლის იოდინია მოთავსებული. ამასთან, ფრენის 41-ე წმ-ზე რაკეტის თვითლიკვიდაცია პლასტმასის კორპუსის სამ ადგილზე აფეთქებით ხდება და ქვემოთ ძალზე უმნიშვნელო ზომის ფრაგმენტებიცაა ცვივა.

თუკი სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარები შიდა ქართლშიც განთავსდება, ერთი რადიოლოკატორი საკმარისი იქნება ქართლ-კახეთის დასაცავად,

მაგრამ თუკი მთელი საქართველოს ტერიტორიის სეტყვისგან დაცვას დავისახავთ მიზნად, მაშინ აუცილებელი იქნება ერთი-ორი მეტეოროლოკატორის დამატება (მათგან ერთი - აუცილებლად დასავლეთ საქართველოში) და სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარების რიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდაც.


„დელტამ“, იმის გამო, რომ სარაკეტო დანადგარების დამონტაჟება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და სეტყვა არ იცდის, ეფექტურად გამოიყენა სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტების გასაშვები მობილური დანადგარები, რომლებიც „დიდგორის“ ტიპის ჯავშანმანქანებზე განთავსდა. ქართული არმიის სარდლობა არ ჩქარობს საქართველოში აწყობილი ჯავშანმანქანების გამოყენებას და იქნებ სეტყვის მოგერიებაში მაინც გამოიჩინონ თავი „დიდგორებმა“.

მხოლოდ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემა სრულად დაცვის გარანტიას ვერ მისცემს ფერმერებს. უფრო ეფექტური იქნებოდა ამ სისტემასთან ერთად ზურებზე სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების გადაფარება და რაც მთავარია, მოსავლის დაზღვევა.

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ეფექტურად ამუშავებას ტექნიკური მიზეზები არ უშლის ხელს, ამის მიზეზი ობიექტური გარემოებაა, კერძოდ, „საქაერონავიგაცია“, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენების უსაფრთხოებაზე, ხშირად კრძალავს სეტყვის შემცველი ღრუბლის დასაშლელად რაკეტების გაშვებას, რადგან იმ ზონაში დაბალ ან საშუალო სიმაღლეზე რომელიმე თვითმფრინავი ან შვეულმფრენი მიფრინავს.

ამ მხრივ განსაკუთრებით არ გაუმართლა სავარგულოს რაიონის ფერმერებს, რადგან ამ ზონაში მოძრაობენ ის თვითმფრინავები, რომლებიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ეშვებიან ან ფრინდებიან. ასეთ დროს სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მართვის ცენტრის ოპერატორები ვერ აიღებენ უდიდეს პასუხისმგებლობას, გაუშვან უმართავი რაკეტები, თუნდაც მონიტორზე ნათლად ჩანდეს სეტყვის მსხვილი მარცვლების შემცველი ღრუბელი.

სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის ახალი სახით ჩამოყალიბება უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, რისი არდანახვა არ შეიძლება. დროთა განმავლობაში სწორი მიდგომისა და რაც მთავარია, მიზნობრივი დაფინანსების შემთხვევაში, ის ქართველი გლეხებისა და ფერმერების „სალოცავად“ შეიძლება გადაიქცეს.



შენთვის ათელი საყვარელი სიყვარულია



ჩემო თინა ფავლენიშვილი - შენ ისევ ბევრს ახსოვხარ და უყვარხარ, მაგრამ ცხოვრება შეიცვალა, ურთიერთყურადღების დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებები უფრო ქმედითი გახდა. მარტო შენ არ გრძნობ ადამიანებს შორის გამეფებულ გაუცხოებას და სიცვიებს, რაც დრომ და სოციალურმა პრობლემებმა მოიტანა. შენ კი შენსას არ იძლი და მთელი დღე ტელეფონს მინებებული სიყვარულს აფრქვევ გარშემომყოფებისათვის. ეს ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძარღვია, რომელიც შენი სიცოცხლის არსს წარმოადგენს, არადა, შენ რომ სიმარტოვისათვის გაგიმტყა, მართლაც ბედის ირონიაა. თუმცა, ერთი დიდი პლიუსი აქვს შენს ყოფას - ამ ასაკისათვის თითქმის სრულყოფილი მესხიერება, ცნობიერება და აზროვნება. როცა შენ ისევ გემორჩილება რითმა და შეგიძლია ლექსად გადმოსცე ის გრძნობები, რასაც განიცდი, ეს ხომ იშვიათობაა და ბედნიერება. ამ ასაკში ბევრს საკუთარი სახელი აღარ ახსოვს, ვერ სცნობს ახლობლებს, შვილებსაც კი, შენ კი მთელი სანაცნობო გახსოვს, გიყვარს და გენატრება, ჰო დამიჯერე, ეს ნამდვილად ბედნიერებაა. ამიტომ იყავ მხნე, არ დაწედე... წერე ლექსები შენს სიმარტოვეზე, სიყვარულზე, მიუძღვენი აკროსტიხები ნაცნობ-მეგობრებს, გახსენე წარსული, რე ინერვიულებ ანამიკა და იმედით შეხედე მომავალს. შენს ასაკს ციფრებით კი რე განსაზღვრი, შენი სიყვარულის უნარით იხელმძღვანელებ შენთვის ხომ მთელი სამყარო სიყვარულია! იცოცხლე, ძვირფასო, შენი თითოეული ზარი ჩვენთვის სიცოცხლის და ადამიანების სიყვარულის მაგალითია და სტიმული. დაბადების დღეს გილოცავთ, გიკოცნით დამჭიხარ ხელებს და სიყვარულით სავსე ცისფერ თვალებს.

ასი წლის იუბილეს გადაციხდი და მერე შენ იცი და უფაღმა.

პატივისცემით, სიყვარულით და მონატრებით ძველი და ახალი „შირაქელის“, სახელით შენი ნაირა გორაშვილი

ულოცავნი!

მერი კოჭლამაზაშვილ-გონაშვილ!

ვუძღვნი ღვანდომოსი პედაგოგს, ბრწყინვალე შვილების ბაჩუკი და ვაჟა გონაშვილების დედას ქალბატონ მერი კოჭლამაზაშვილს დაბადების 85-ე წლისთავის აღსანიშნავად.

ცა ღრუბლებით მოიქარვა, ჩამომარცვლა ენმელებად და მოსწავლეს შედარე თან, განმორება ემწელება. მაყვლისფერი თვალებიდან ისევ მოხანს ნაპერწკალი და ბავშვური ზღაპრებიდან შენს გააკეთილს ისევ ველი.

ჩემო ტკბილი ქალბატონო, მოგთხუბებს როგორ უძღვებ? ან გამხმარი ენმელები რად შემორჩა წიგნის ფურცლებს? ნანი საბანაძე

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას და ქალბატონ მერის უსურვეს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავის ლამაზ, დიდ ოჯახთან ერთად.

დედოფლის წყაროში კოლოებს ებრძვიან

დედოფლისწყაროს ალანზისპირა სოფლებში სამთაყაროში, ფიროსმანსა და საბათლოში ალანზის ადიდების შედეგად კოლოები მომრავლდნენ. ადგილობრივები გაუსაძლის ვითარებაზე და მალარიის შესაძლო გავრცელებაზე საუბრობდნენ.

ამ სოფლებიდან მრავლობითი ნაკბენებით რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვი რაიონულ საავადმყოფოშიც გადმოიყვანეს.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ადასტურებს, რომ კოლოების სიმრავლე მართლაც შეინიშნება, თუმცა მიჩნევენ, რომ მალარიის გავრცელების საფრთხე არ არსებობს და ამ მხრივ დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად მუშაობს.

„მდინარე ალანზის ადიდების შემდეგ დედოფლისწყაროს ალანზისპირა სოფლებში კოლოები მომრავლდნენ. პირადად ვიმყოფებოდი ადგილზე ჩასული და მართლაც გაუსაძლისი ვითარება იყო. შეინიშნებდა, როცა შიშის მცხუნვარება იკლებს, დიდ გუნდებში გამოდიოდნენ და ადგილობრივებს აწუხებდნენ. მალარიის საფრთხე არ არსებობდა, მაგრამ პრევენციული ზომების მიღება გადაეწყვიტა. გუბერნატორის დახმარებით გვიშუამდგომლა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საკითხი მთავრობის სხდომაზე გაიტანეს და სურსათის უვნებლობის სამსახურს დაევალა პრობლემის აღმოფხვრა. დაუყოვნებლივ ჩამოვიდა საავადმყოფოს ოთხი ექიმი. რომლებმაც სპეციალური ხსნარით დაიწყეს ტერიტორიის დამუშავება. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ ხმაშენყობილად უნდა მუშაობდნენ მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება და ცენტრალური ხელისუფლება.“ - აღნიშნა დედოფლისწყაროს გამგებელმა

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ნიკოლოზ მესხმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, დედოფლისწყაროში სპეციალური ხსნარით უკვე 400 ჰა ტერიტორია დამუშავდა. პროცესი დედოფლისწყაროსა და ლავოდეხის მუნიციპალიტეტებში კვლავაც გრძელდება.

„კალიების პარალელურად სურსათის ეროვნული სააგენტო დედოფლისწყაროში კოლოების პრევენციის სამუშაოებსაც ახორციელებს. გაზაფხულზე ჭარბი ნალექი იყო, რამაც კოლოების მასობრივ მომრავლებას ხელი შეუწყო. ნამლობები სამ სოფელში ჩატარდა. 400 ჰა უკვე შენამულაა, მომდევნო დღეებში გაგრძელდება და მთლიანად მოვიცავთ ალანზის ტყეებს. ღონისძიებები გატარდება ასევე ლავოდეხის და სიღნაღის ტერიტორიებზეც. სურსათის სააგენტოს განიხილავთ თანამედროვე შემასხურებელი ტექნიკა. გასულ წლებში ამერიკულ თეთრ პეპელას ვებრძოდით სხვა ქალაქებში, ამიტომ თერაპიული ნისლის ტექნოლოგიით ძალიან ეფექტურად ხდება კოლოების წინააღმდეგ ბრძოლა. ასე რომ, მოსახლეობას არავითარი საფრთხე აღარ ემუქრება.“ - აღნიშნა მესხმა.

ილია მარტყოფლიშვილი



განხორება

გაზეთ „შირაქის“ 22-ე ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „დიღემა: სკოლაში თუ სახლში?!, სადაც ტექნიკური პრობლემის გამო გაიპარა შეცდომა. წერილის შესამე აბზაცში, „დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე დედოფლისწყაროში 50-ზე მეტი შშმ მოზარდი ინკლუზიური განათლების პროგრამაში უკვე ჩართულია“, შშმ -ს ნაცვლად უნდა ეწეროს სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონენი). ასეთივე შეცდომა სტატიაში კიდევ ორ ადგილასაა.

ს ი ა ხ ლ ე !

გაიხსნა ავტოსკოლა დედოფლისწყაროში, 9 ძმის ქუჩა N2-ში (მუსიკალური სკოლის ნინ).

შევასწავლით როგორც თეორიას, ასევე პრაქტიკას მექანიკური და ავტომატური სატრანსპორტო საშუალებებით.

არის სამკვირიანი კურსი თეორიის და პრაქტიკის. შესწავლა გარანტიით.

დაგვიკავშირდით ნომრებზე:
☎ 599 99 48 38, 577 34 55 39

იყიდება!

იყიდება აგურის კაპიტალური ბინა ბელეტაჟზე, 6 ოთახი აბაზანით და სამზარეულოთი, საცხოვრებელი ფართი 136კვმ, გარაჟით, სარდაფით, სამეურნეო ნაგებობებით, ბაღით, ტალავერით. საერთო ფართობი 1269 კვმ-ია. ფასი შეთანხმებით. მისამართი: 9 ძმის ქუჩა, III-ე შესახვევი N5. დარეკეთ: ☎ 577 22 32 19. იკითხეთ ლევან იაკობიშვილი.

იყიდება!

იყიდება ხუთოთახიანი ბინა 190 კვმ მიწის ნაკვეთით. მეორე სართული. მისამართი: რუსთაველის 118, ☎ 599 48 46 28.

იყიდება!

იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯიით მეორე სართული (ლოჯი კორპუსი). მისამართი: ბარათაშვილის ქუჩა N8, ☎ 592 90 70 60.

ამინდი		დედოფლისწყარო		სურსათი		კვირა	
ორშაბათი 29.06 დღე	სამშაბათი 30.06 ღამე	ორშაბათი 01.07 დღე	სურსათი 02.07 ღამე	პარასკევი 03.07 დღე	შაბათი 04.07 ღამე	კვირა 05.07 დღე	ღამე
26°	24°	27°	24°	25°	22°	19°	17°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრისაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ეურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწვეერი); მზია ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ გუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).	რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე ასუსტს ავებს ავტორი.	გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.		